ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №17

04.11.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე -კომისიის წევრი;
4. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
5. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
6. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
7. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი;
8. ზვიად კუპრავა - კომისიის წევრი;
9. ანა გოგოლაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03; 11.10.2022);**
2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03; 11.10.2022);**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03; 11.10.2022);**
4. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03; 11.10.2022);**
5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03; 11.10.2022);**
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03; 11.10.2022);**
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_3 კატეგორიის და M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03; 11.10.2022);**
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე

ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032229420-03; 21.10.2022).**

მომხსენებელი:

- **ვასილ აბულაძე -** სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022):**

ვ.აბულაძე თავდაპირველად მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, შემდეგ კი ისაუბრა იმის შესახებ, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში ხორციელდება რიგი ცვლილებები - ემატება ახალი ქვეპუნქტი, ასევე, რამდენიმე ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით.

როგორც მან აღნიშნა, პროექტის შემუშავება განაპირობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა.

ვ. აბულაძის განმარტებით, დადგენილების პროექტში ცვლილებები გულისხმობს შემდეგს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, სამართალდამრღვევს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი თუ სამართალდამრღვევი ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, გამოიწერება საჯარიმო ქვითარი ან ელექტრონული ფორმით ივსება საჯარიმო ქვითარი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით უნდა გაეგზავნოს სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს. ამასთან, ტერმინი სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები შეიცვალა ტერმინით ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასური, რის გამოც, ცვლილებები შედის სააგენტოს სპეციალური დაცული სადგომების მართვის სამსახურის უფლებამოსილებებში.

უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის სხდომაზე, საკითხის მომხსენებელმა ითხოვა დადგენილების ამოქმედების თარიღის ცვლილება.

კომისია დაეთანხმა მომხსენებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების მეორე მუხლის ფორმულირება შემდეგი სახით: „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 15 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე".

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 3, წინააღმდეგი - 1) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03; 11.10.2022)** შემოთავაზებული ცვლილებების გათვალისწინებით, განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 134[1] მუხლით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022):**

როგორც **ვ.აბულაძემ** განმარტა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, გაიზარდა ჯარიმის, ასევე საურავის ოდენობები რიგ სამართალდარღვევებზე, რამაც განაპირობა სათანადო ცვლილებების შეტანის აუცილებლობა წარმოდგენილ დადგენილებაში. კერძოდ:

1. „გაჩერება აკრძალულია" და „დგომა აკრძალულია" მოთხოვნის დაუცველობა - 50 ლარი ნაცვლად 10 ლარისა;

2. „BUS LANE“-ში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, გაჩერება ან დგომა - საურავის ოდენობა 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა;

3. ველობილიკზე მოძრაობა/გაჩერება, ასევე ტაქსის ადგილზე პარკირების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობაა 100 ლარი ნაცვლად 50 ლარისა, საურავის ოდენობა - 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა;

4.პარკირების საფასურის გადახდის გარეშე დგომა, ასევე პარკირების სხვა წესების დარღვევა - 50 ლარი ნაცვლად 10 ლარისა;

5.ელექტრომრავიანი სატრანსპორტო საშუალების დამუხტვის ადგილზე სატრანსპორტო საშუალების პარკირება დასამუხტ მოწყობილობასთან მიერთების გარეშე - 100 ლარი ნაცვლად 50 ლარისა, დარიცხული საურავის ოდენობა - 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა;

6. პარკირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განკუთვნილ ადგილზე - 200 ლარი ნაცვლად 50 ლარისა, საურავი - 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა.

ასევე, როგორც **ვ.აბულაძემ** აღნიშნა, 125^2 მუხლს დაემატა 5^1 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების ადგილზე მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული სახეობის სატრანსპორტო საშუალების გარდა, სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების დგომა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, საურავი განისაზღვრა 200 ლარით.

უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის სხდომაზე, საკითხის მომხსენებელმა ითხოვა დადგენილების ამოქმედების თარიღის ცვლილება.

კომისია დაეთანხმა მომხსენებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების მეორე მუხლის ფორმულირება შემდეგი სახით: „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 15 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე“.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 2, წინააღმდეგი - 2) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების

ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03; 11.10.2022)** შემოთავაზებული ცვლილებების გათვალისწინებით, განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022):**

ვ.აბულაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტში წარმოდგენილი ცვლილებების საფუძველზე, თბილისის სატრანსპორტო კომპანიას ეკისრება ვალდებულება დაიცვას რიგი სანებართვო პირობები ავტობუსებში. მაგ: უზრუნველყოს ხაზზე გაშვებისას თითოეული ავტობუსის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, მგზავრების მიერ მგზავრობის ტარიფის/ფასის გადახდის კონტროლი, ნებართვის გამცემთან შეთანხმებული უნიფორმით მომსახურების განმახორციელებელი ყველა მძღოლის შემოსვა, დაუშვას უშუალოდ მარშრუტზე მოძრაობისას მძღოლის მიერ თამბაქოს მოხმარება და ა.შ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომისიის სხდომაზე, საკითხის მომხსენებელმა ითხოვა დადგენილების ამოქმედების თარიღის ცვლილება.

კომისია დაეთანხმა მომხსენებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების მეორე მუხლის ფორმულირება შემდეგი სახით: „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 15 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე“.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 7, თავი შეიკავა - 2, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03; 11.10.2022)** შემოთავაზებული ცვლილების გათვალისწინებით, განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022):**

ვ. აბულაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, იცვლება დადგენილების სათაური, ასევე, შესაბამისობაში მოდის დადგენილების რიგი ნორმები.

როგორც მან აღნიშნა, დადგენილების სათაური ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“.

ამასთან, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირების საფასურები განისაზღვრება შემდეგი ოდენობებით: მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – 150 ლარი; M_2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - 500 ლარი; ყველა სხვა დანარჩენი სახეობის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - 800 ლარი. სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის საფასური დღეში: მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – 20 ლარი; M_2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - 60 ლარი; ყველა სხვა დანარჩენი სახეობის სატრანსპორტო საშუალების (რომელიც მოიცავს N_1, N_2, N_3, O_1, O_2, O_3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებს, აგრეთვე მისაბმელებს) შემთხვევაში - 100 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზ/ა ცვლილებები გამოიწვია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წლის 6 სექტემბერს N1719-IXმს-Xმპ საქართველოს კანონით შეტანილმა ცვლილებებმა.

კომისიის სხდომაზე, საკითხის მომხსენებელმა ითხოვა დადგენილების ამოქმედების თარიღის ცვლილება.

კომისია დაეთანხმა მომხსენებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების მეორე მუხლის ფორმულირება შემდეგი სახით: „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 15 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე ".

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 2, წინააღმდეგი - 2) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03; 11.10.2022)** შემოთავაზებული ცვლილების გათვალისწინებით, განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125² მუხლით და 135³ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022):**

ვ.აბულაძემ განმარტა, რომ დადგენილების სათაური, პრეამბულა, 1-ლი და მე-2 მუხლები ყალიბდება ახალი რედაქციით. ასევე, იცვლება დადგენილებით დამტკიცებული წესის სათაური და რიგი მუხლები.

როგორც მან აღნიშნა, ზ/ა ცვლილებები გამოიწვია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წლის 6 სექტემბერს N1719-IXმს-Xმპ საქართველოს კანონით შეტანილმა ცვლილებებმა.

ხაზგასასმელია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) გამართული ფუნქციონირება და სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის შენახვა, სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ.

კომისიის სხდომაზე, საკითხის მომხსენებელმა ითხოვა დადგენილების პროექტიდან მეორე მუხლის ამოღება, ასევე, ამოქმედების თარიღის ცვლილება.

კომისია დაეთანხმა მომხსენებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას.

დადგენილების მეორე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 15 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე ".

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 3, წინააღმდეგი - 1) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03;11.10.2022)** შემოთავაზებული ცვლილების გათვალისწინებით, განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022):**

საკითხის მომხსენებლმა **ვ.აბულაძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილ პროექტში განხორციელებული ცვლილებებით უფასო მგზავრობის უფლება ენიჭებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებს.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 9, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032228413-03;11.10.2022)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის და M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022):**

ვ.აბულაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილ პროექტში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, მუნიციპალური ინსპექციის უფროსი უზრუნველყოფს არანაკლებ 3 თვეში ერთხელ, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სუბიექტ(ებ)ისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას მუნიციპალური ინსპექციის იმ თანამშრომლებზე, რომლებიც სარგებლობენ უფასო მგზავრობის უფლებით. კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 9, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის და M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი (12-032228413-03;11.10.2022) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი (12-032229420-03; 21.10.2022):**

3. **აბულაძემ** განმარტა, რომ დედაქალაქის ქუჩებსა და გამზირებზე სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობისთვის, მიზანშეწონილია საერთო ნაკადის თანმხვედრი ან საპირისპირო მიმართულებით სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლებში (ე.წ. ,,BUS LANE) ავტობუსების გადაადგილების ოპტიმიზაციის განხორციელება და პრიორიტეტად იქნეს მიჩნეული ზემოაღნიშნულ ზოლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსების გადაადგილება, ხოლო რუსთავი-თბილისის მარშრუტის M_2 კატეგორიის ავტობუსებმა საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მარშრუტებზე გადაადგილება განახორციელონ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლის გამოყენების გარეშე. დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 4, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი **(12-032229420-03;21.10.2022)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე